ახალგაზრდული ორგანიზაცია “Art Way”
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონოპიესები

2014-2015
(კრებული)

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2015

Self shot

დრამატურგი - **ნიკო კილაძე**
რეჟისორი - **გიორგი ქათამაძე**
მსახიობი - **ნიკო კილაძე**

მსახიობისა და დრამატურგის ნიკო კილაძის პიესის „შელფ სჰოტ“ მთავარი გმირი სატელევიზო შოუს მონაწილეა, რომელიც თავის სასიყვარულო ისტორიას მოგვითხრობს. ამ გზით დრამატურგის მიზანი იმ ყალბი ურთიერთობების წარმოჩენა იყო, რომელიც ჩვენს რეალობაში მრავლად შეინიშნება, სადაც მინიმუმამდეა, ან გაძნელებულია გულწრფელობა. ავტორი დასცინის თანამედროვე სატელევიზო შოუებს, სადაც ტაშიც კი შეკვეთილი და ყალბია. (სცენაზე ლიგჰტ ბოხ - ია ჩამოკიდებული, რომელსაც „ტაში“ აწერია). მთავარი გმირი მოგვითხრობს მისი განსხვავებული ცხოვრების შესახებ (როგორც სატელევიზიო შოუს სტუმარი და მონაწილე) და სიცოცხლეს სატელევიზო სტუდიაში თვითმკვლელობით ასრულებს. ბედნიერი ტელეწამყვანი კი მაყურებლის წინაშე თავს იმით იწონებს, რომ პირველად მის ეთერში სტუმარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დრამატურგის ირონიულობა და ცინიზმი არა მხოლოდ ტელევიზიებისადმი იკვეთება, არამედ თავად მთავარი გმირის საქციელში, რომელიც ერთი შეხედვით რაფინირებულ, კულტურულ მამაკაცად წარმოგვიდგება. მონოლოგის მოულოდნელი ფინალი მთავარ გმირს ბოლომდე აშიშვლებს და ძძიე განაჩენიც თავადვე გამოაქვს.

მოწესრიგებულ მამაკაცს აცვია პიჯაკი, ხელში უჭირავს საჩუქრის ყუთი.

– ახლა ერთი ნაცნობიდან მოვდივარ, რომელმაც მირჩია, რომ მონასტერში უნდა წავიდე და ვეცადო უკეთესი გავხდე. ამას რა მნიშვნელობა აქვს. არა მის ნათქვამს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არ გამოვა. საერთოდ ბევრს მირჩევენ ხოლმე. მაგალითად დედაჩემი მირჩევს, რომ ჩემს მეგობრებთან ურთიერთობა შევამსუბუქო და ოჯახს მეტი პატივი ვცე. ჩემთან ყოველთვისააქვს იმის პრეტენზია, რომ იშვიათად ვნახულობ.მამა... მამაარ მირეკავს, არ მელაპარაკება. თავისებური ადამიანია.კენჭი უნდა დაბადოს და ჰვონია რომ ვერ გადაიტანს.კაპიტალიზმი მათთვის სიცოცხლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ოღონდ თითონ არ გაუმართლათ.რაღაც ვერ აეწყო.

მაგრამ ქალაქში პირველი შავი ოცდაოთხი,მაინც ჩვენ გვყოლია. მამა არ სვამს, არ ეწევადამეტნაკლებად წარმატებულ კაცადაც ითვლება. მე კი მეზობლების რჩევით უნდა შევირგო ის, რაც დავლიე. სამსახურში მირჩევენ, რომ საერთოდ არ უნდა დავლიო. სამკერვალო ნაწარმისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი ვარ. ვმუშაობ სადაზღვეო კომპანიაში. ყველანაირ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა. მიწევს დავაჯერო სიმართლე, რომელიც არ არსებობს. ასე ვთქვათ, ვურჩევ მენდოს. როგორც გავიგე დაზღვეულების უმეტესობა, მაინც კმაყოფილია. აი მაგალითად, თურმე სახლში ბრუნდება ეს გაბღენძილი ქმარი და თავის ცოლს ფეხ–ქვეშ იგდებს. შემდეგ ეს უკანასკნელიმიდისექომთან,არღვევს რიგს და დაზღვევით იკერავს გატეხილ თავს. უბედური შემთხვევის დროს,მცირედი დაზიანება სრულად არ ფინანსდება, ამიტომ ცოტა ხარჯის გაღებაც უწევს. შემდეგ სახლში ბრუნდება, ფაქტის მომსწრენთ ეუბნება – არ ვარ მართალი. კაცია უნდა დაუთმო. ლოგინში წვება და ბატონს ფეხებს უშლის. ეს ქალი რომ არ დამეზღვია, ოჯახს მოუწევდა დაეწყო ფიქრი იმაზე, თუ სად ეშოვნათ ფული ჭრილობის გასაკერად. ამასმოჰყვებოდა კიდევ ერთი კონფლიქტი იმის თაობაზე, რომ ბატონსსახლში ფული არ შემოაქვს და კიდევ ერთხელ გაუტყდებოდა თავი მშვენიერ ქალბატონს. მაგრამ მეზობელი, რომელიც მირჩევს მირთმეულის შერგებას, განეკუთვნება მეორე უკიდურესობას. იგი გახდა მიზეზი თავისი ქმრის მრავლობითი მოტეხილობისა. საღამოს, როდესაც ოჯახის უფროსი საუკეთესო მეგობრებთან ერთად,სკამზე შემდგარი სვამდა თავმდაბალი მანდილოსნების სადღეგრძელოს,ცოლს შტურმით აუღია ოთახი. ბატონი სკამიდან გადმოვარდა და ადგილზევე აღენიშნა ბარძაყის მრავალგზის მოტეხილობა.მან დაზღვევაზე უარი მითხრა. ამიტომ რთული მეზობლობა გვაკავშირებს. ერთი ავი ძაღლი ყავთ, რომელიც ჩემს მიმართ მთლად კეთილგანწყობით ვერ არის, ხოდა ამ ძაღლს სასეირნოდ მარტო უშვებდნენ ხოლმე,სადარბაზოში მშვიდად შესვლის საშუალებას არ მაძლევდა. ბევრჯერ ვურჩიე ყურადღება მიექციათ ძაღლისთვის, მაგრამ რეაგირება არ ჰქონდათ, დავპირდი მოვწამლავთქო, მაგრამ შემეცოდა. ამიტომ პოლიციას გამოვუძახე და გაფრთხილება მისცეს. უკვე ერიდებიან ჩემთან კომფლიქტურ ურთიერთობას. არა, საერთოდ ერიდებიან ურთიერთობას. ძალიან გაუწონასწორებელი ოჯახია. ჩემი ნაცნობი რომ ვახსენე, ტარიელი, მონასტერში წასვლა მირჩიათქო. აი მაგალითად ის, უმეტეს წილად არაკომფლიქტურია. ჩვენ ერთმანეთი

სრულიად შემთხვევით გავიცანით. მაშინ ფიტნეს კლუბში დავდიოდი. ერთხელ ვარჯიშის დროს მკითხა წყლის აპარატი სად დგასო. ფირუზისფერი სპორტულები ეცვა. მასალის დიამეტრი ოთხმოცდაათი მიკრონი იქნებოდა. უბრალო ქსოვილი იყო, მაგრამ მას ძალიან უხდებოდა. ვარჯიშის შემდეგ სახლში წაყვანა შემომთავაზა. მომატყუა მეც მაქეთ ვცხოვრობო. შემდეგ ბარში შევხვდით შემთხვევით ერთმანეთს, მაგრამ როგორც მერე გავიგე შემთხვევით არ ყოფილა. ყავა დავლიეთ, მერე საპირფარეშოში, გავედი, ისიც გამომყვა და მაშინ მაკოცა პირველად. თან მითხრა, ჩვენი ურთიერთობა არავინ არ უნდა გაიგოს, დიდი გეგმები მაქვს და არ მაწყობსო. ისხშირად იღიმება და ბევრს არ ლაპარაკობს,თავისთვის ზის მშვიდად და ნერვებს არ გიშლის. მაგრამ დღეს ვიკამათეთ და მოვკალი. კი არ შემომაკვდა, მოვკალი. არ ვიცისუფთად გამოვიყურები. სისხლის კვალი არ მაქვს. არ მინდოდა პიჯაკი დამესვარა. ამიტომ შორიდან ვესროლე დიდი საფერფლე და კეფა ჩავუტეხე. თავიდან ბევრი სისხლი არ წამოსვლია. მაგრამ სანამ ყავის გაგრილებას მოვრჩებოდი, მანადე სულ მოსვარა იქაურობა. სისხლმა ხალიჩაც დასვარა. ისხალიჩაესპანური მერინოსის მატლყისგან იყო დამზადებული. ერთადერთი ხელნაკეთი ეგზემპლარი მთელს მსოფლიოში.რომლის ყოველი კვადრატული დეციმეტრი, წმინდა ბოჭკოსგან შედგებოდა. ფერთა გრადაციაც უნიკალური ჰქონდა. ნაცრისფერი ისე შესანიშნავად გადადიოდა თეთრში ერთი, მთლიანი ცხოველის ბეწვი გეგონებოდა, ხელოვნურობის არანაირ ნიშანი არ ჰქონდა. ნამუშევარი უკომპრომისო ხარისხით იყო შესრულებული. ეს ხალიჩა მან სოტბის აუქციონზე შეიძინა, როდესაც არჩევნებში გაიმარჯვა. მუხედავად ყველაფრისა, ამ ამბავს რომ გაიგებენ პოლიტიკურ საქმეს შეთითხიან.დაიწყება თვალის ასახვევი გამოძიებები. საქმე მალევე დაიხურება და ვინმეს დაიჭერენ. მე კი დაუსწრებლად გადამისდიან მადლობას.ასეა, სიკეთეს როდესაც აკეთებ საჯაროდ არ უნდა გამოიტანო. ცოტა ხნის წინ ეფექტური სამუშაო თვე მქონდა და პრემია მივიღე, დიდი კი არაფერი მაგრამ მაინც, ჰოდა უსახლკაროებს დავეხმარე. არც მაშინ გამიმხელიავინაობა. დიდი ამბის ატეხვა იციან. – იქნებ თქვენი საქციელი სამაგალითოგახდეს სხვებისთვის. – ყველას ვურჩევთ ასე მოიქცნენ. და ასე შემდეგ. არა, სიკეთე ჩუმად უნდა აკეთო. პრემიიდან მხოლოდ ეს პიჯაკი ვიყიდე. სამსახურიდან მოვდიოდი. აქვე ჩემს სახლთან ერთი დიდვიტრინებიანი მაღაზიაა და იქ რომ ჩავიარე დავინახე, რომ კაპრონის მანეკენს აცვია

ულამაზესი პიჯაკი. ეს იყო უიშვიათესი სამხრეთ ამერიკული შალის და ქაშმირის კომბინაცია. ვგრძნობდი როდესაც ამ პიჯაკს ჩავიცვამდი, როგორ მომიქცევდა თავის ძლიერ მკლავებში.მე და პიჯაკს მხოლოდ თხელი შუშა გვაშორებდა. მაგრამ ყიდვა მაინც ვერ გავბედე და სახლში წამოვედი. საღამოს კიდევ ერთხელ ჩავედი მაღაზიასთან და ჩაბნელებულ ვიტრინაში მარტო დატოვებულ პიჯაკს ვუყურებდი. ორგანიზმი მთხოვდა ბეჭებით შევხებოდი ქსოვილს. მთელი ღამე იმაზე ფიქრში გავატარე, თუ რა დამაჯერებელი ვიქნებოდიამ პიჯაკში. შუაღამით ქუჩაში გავედი და ვიტრინასდიდი ხანი ვუტრიალებდი. მთელი ღამე იქედან ფეხი არ მომიცვლია. ცხრა საათზე როგორც კი გამყიდველი მოვიდა მაშინვე ვიყიდე.მოკლედ,ტარიელის სახლიდან რომ გამოვედი, ფეხით გავიარე ერთი კვარტალი და ტაქსში ჩავჯექი. მძღოლი კარგი ვინმე აღმოჩნდა. ბევრს ილანძღებოდა – ეს მთავრობაო, ესენი მძღნერები ესენიო. რეები აღარ თქვა. ჰო, ჰო კიდე ისაო, ამას წინათ მოვდივარო, და უცებ ვიღაცამ ისე გადამასწრო, კინაღამ დავილეწეთ. ეგ არაფერი ჩემს წინ ბებოც მაგრად გადარჩაო. ვიღაც მელეხი იჯდა, დიდი ღიპითო. ჰოდა ერთი კარგად მივაგინე და ჩუმად გავყევიო. ვიფიქრე მანქანას დავულეწავო. მთელი სამი კვარტალი ვსდიე და მძღოლი როგორც კი მაღაზიაში გადავიდა, ბორბალზე მიგუფსიო. ახლა ვნანობ რატომ ზედ კაპოტზე არ დავაჯვიო. მაგრამ ვერ მოვასწრებდიო. მე თავს ვუქნევდი. ვთქვათ მართლა რომ დაემტვრია მანქანა და ორიევს ჩემს სადაზღვეო კომპანიაში ქონოდა დაზღვეული მაშინ გამომიძახებდნენ მე და მოითხოვდნენ ტაქსის, მინიმუმ წინა ორი ფარის და იმ დიდი ჯიპის ასევე მინიმუმ უკანა ორი ფარის საფასურის ანაზღაურებას. რაც დაახლოებით ათას ლარს უდრის. კარგია რომ გადაიფიქრა.ამ ლაპარაკში დიდ ვიტრინებიან მაღაზიასთან გამოვიარე და შიშველი მანეკენი დავინახე. (ხსნის ყუთს) – ტარიელ, რა დაგემართა? როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, შენ კიდე ყველაფერი გააფუჭე. ვერც კი ვიჯერებ, ასე როგორ შეიცვალე. რა საყვარელი ხარ.შენ ხომ მოგწონს საღამოობით რომ გიმღერი. გახსოვს ერთხელ ერთი ფილმი რომ გაჩვენე. აღფრთვანებას ვერ მალავდიისე მოგეწონა. სულ ამაზე მელაპარაკებოდი. შემდეგ მალეევედაგავიწყდა ერთად რომ ვუყურეთ და იმ ფილმიდან სასიყვარულო ციტატებს მე მეუბნებოდი. რა სულელი ხარ. იდიოტი ხარ ტარიელ. გამოუსწორებელი იდიოტი. საერთოდ მიკვირს შენნაირ ადამიანზე როგორ ვიღზნები. ან საერთოდ ტარიელზე როგორ უნდა აღეგზნო. შე ნაბიჭვარო როგორ მიყვარხარ.

რა კარგი სექსი გვაქვს. ჩემი აქტიური ტარიელი. ჩემი სკანდალების მოშიშარი ტარიელი. ცოლის მოშიშარი ტარიელი.შე განდონო, ყოველთვის ხვდებოდი რა მომწონდა. (იცვამს კაბას) ელოხელ მივლინებით წავიდა ევროპაში და მეც წამიყვანა. მაშინ მითხრა თუ რა მძიმე ასატანია თავისი ცოლი. სიამოვნებით დავშორდებოდი, მაგრამ პირს მოაღებს, ყველაფერს დავკარგავ და საერთოდ დამიჭერენო. რამოდენიმე თვის წინ სახლში ავდიოდი მათთან და კარზე დაკაკუნება რომ დავაპირე ყვირილის ხმა გავიგონე. ტარიელს ცოლი მაგრად ლანძღავდა. მსხვრევის ხმა, რომ გავიგონე ბრახუნი დავიწყე. კარი ატირებულმა თაკომ გამიღო და კივილი დაიწყო – აი შენი პიდარასტი ძმაკაცი მოვიდა. ყველაფერს ვეტყვი ჟურნალისტებს, მაგრამ ჯერ ამით დავიწყებ. ყველასთვის საყვარელი ბატონი ტარიელი, რომელიც დიდი ერისკაცი ჰგონიათ, ერთი არაკაცია.რამდენ ადამიანს ჰგონია დიდსულოვანი ეს ნაბიჭვარი. რამდეს სჯერა ამის პატიოსნების. ეს კიდევ ყველას ძირს უთხრის. საქმე საქმეზე რომ მიდგება ეკლესიაში გარბის, თავის ძმაკაც მღვდლებს რომ აუშენა და ცხოვრება მოუწყო. კიდევ აგრძელებდა, მაგრამ მე ბოდიში მოვიხადე და წამოსვლა დავაპირე. ტარიელი გამომეკიდა და იქეთ დამიწყო მობოდიშება. ამის შემდეგ თაკო დასასვნებლად გაუშვა სადღაც და ჯერ არ ჩამოსულა. ალბათსანამ ამას ვყვები, თაკოს კლავენ. ან უკვე მოკლეს. მერე ცოტა აირია, მაგრამ მაინც ძლიერად იდგა. რადგან ცოლი სახლში არ ჰყავდა მეტ დროს ვატარებდით ერთად. მალევე წავედით მივლინებით ევროპაში. დაიბარა რაღაც საქმე მაქვს გასაკეთებელიო. რა კარგ დროს ვატარებდით. ხშირად ურეკავდნენ საქმეები როგორ მიდისო. ის როდესაც პასუხობდა ყველაფერი კარგადაა, მალე დავბრუნდებით მე ოთახში ჩუმად ვიცინოდი. ბევრი მუზეუმი დავათვალიერეთ. ღამით ქუჩებში ძალიან ბევრს დავიოდით. შემდეგ გადაუდებელი საქმე გამოუჩდა და დავბრუნდით, მან მითხრა ცოტახნით არ მეცლება, ვიღაც ელჩები ჩამოვიდნენ ევროპიდან და რამოდენიმე დღე იმათ უნდა დავუთმოო. ძალიან გამიჭირდა ამ რამოდენიმე დღის გადატანა. შემდეგაც არ გამოჩნდა. ექვსი დღე გადაბმულად ვურეკავდი და არ მპასუხობდა. სახლშიც მივაკითხე, მაგრამკარს არავინ მიღებდა. როცა დრო მქონდა შეუმჩნევლად ვუთვალთვალებდი სადარბაზოსთან, მაგრამ იქაც არ გამოჩნდა.წუხელ ღამით, მეშვიდე დღე იყო, ნერვება ამიტანა, ღამით სახლიდან გამოვედი და ტარიელის მოპირდაპირე სახლის სახურავზე ავედი, მთელი ღამე იქ გავატარე. ვუცდიდი როდის

გახსნიდა დარაბებს. სახურავზე ცოტა გამიჭირდა, სიმაღლის მეშინია. როდესაც მივლინებით მივდიოდით, თვითმფრინავში ასვლა, დიდი პრობლემა ხდებოდა. განსაკუთრებით დაფრენის მეშინოდა. ყოველთვის მქონდა სურვილი, სანამ თვითმფრინავი დაშვებას დაიწყებდა მე პარაშუტით გადმოვმხტარიყავი, მაგრამ უარს მეუბნებოდნენ. მთელი ფრენის განმავლობაში მეგონა, რომ ადამიანებს უკანასკნელად ვხედავდი, ამიტომ მგზავრობისას ფამილარული ვხდებოდი. მოკლედ მთელი ღამე გავატარე სახურავზე. იმის იმედს, რომ სახლში ვიღაც იყო, ოთახში ანთებული შუქი მაძლევდა. დარაბები არავის გაუღია. გამთენიისას როდესაც თითქმის მეძინა, სადარბაზოდან ორი მამაკაცი გამოვიდა. ვერც ერთი ვერ ვიცანი. არც მისი მეგობარი კოლეგები იყვნენ და არც ოპონენტები. ჯერ დავაპირე უცხოებს გავყოლოდი, მაგრამ როდესაც შუქი მეორე ოთახშიც აინთო, მივხვდი რომ სტუმრები ნამდვილად ტარიელთან იყვნენ და ის ახლა სახლშია. ფრთხილად ჩამოვედი სახურავიდან და სადარბაზოში შევედი. სანამ კარზე დავაკაკუნებდი, ჯერ ყური მივადე, დავრწმუნდი რომ ტარიელის გარდა, სხვა სახლში არავინ იყო და დავაკაკუნე. მას ეგონა, რომ უცხოები დარჩენილი ნივთის წასაღებად დაბრუნდნენ და კარი ლანძღვით გააღო. ხელში საჩუქრის ყუთი ეჭირა. ყველას ელოდა, ჩემს გარდა. პირველი ის მკითხა, აქ რა გინდაო. რა ხდებატარიელ, სად გაქრითქოვკითხე და არაფერი საქმეები მქონდაო. ყველა ჩემს შეკითხვაზე ცდილობდა. დაბნეულობა დაეშალა. მითხრა სახლში წადი. მე რათქმაუნდა იქედან ფეხის მომცვლელი არ ვიყავი. მაშინვე სახლში შევედი და მომხდარის ახსნა მოვთხოვე. ტარიელმა მითხრა ყველაფერი არც ისე კარგადაა, როგორც მე მეგონაო. თაკოსთან კილერები გავაგზავნე უნდა მოკლანო. როგორც ვიცი მან გადაწყვიტა პირი მოაღოს. რაც ძალიან საშიშიაო.მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, არ გინდა, რომ მონასტერში წახვიდე და უკეთესი გახდეო? მე მყავს მეგობრებირომლებიც ამ საკითხში, დაგვეხმარებიანო. მოდი ახლა სახლში წადი, ჩემი აგარაკი არც ისე შორსაა, შენთანაც მალე მოვლენ. მე ვკითხე ეს ყუთი რა არისთქო და მითხრა, რომ ჩემი საჩუქარი იყო,იმათ გამოვატანე,მაგრამ დარჩათო. ისიც მითხრა რომ თუ ეს ამბავი მშვიდად ჩაივლის, ყველას დედას მოვუტყნავო. შემდეგ ყავა შემომთავაზა. კარგი ყავა ძალიან უყვარდა, მაგრამ ისიც კი არ იცოდა, რომ მანგუსტის ფეკალიებისგან მზადდება. საერთოდ ბევრი რაღაც არ იცოდა. ყოველთვის ვურჩევდი, მეტად დაინტერესდი

რაღაცეებითთქო. ბევრს ველაპარაკებოდი წიგნებზე. საინტერესო ამბებს ვუყვებოდი. ისიც მიყვებოდა თავის ცოლზე და პოლიტიკურ წინსვლებზე. იშვიათად მეკითხებოდა რამე თუ გაწუხებსო. უბრალოდ იცოდა რა უნდა ეყიდა ჩემთვის. ყველაფერში ჩემი იმედი ჰქონდა. სიტყვით გამოსვლის წინ ჩემთან გადიოდა რეპეტიციას, აინტერესებდა, თუ რამდენად დამაჯერებელი იყო. მე ტარიელის მეგობრები მეძებენ, და აუცილებლად მიპოვნიან.დღეისთვის საკმარისია.